

**დასახელება:** ადმინისტრატორ ექთნების კომპეტენციის ამაღლების საბაზო კურსი  
ჯანდაცვის მენეჯმენტში

**მომწოდებელი:** საქართველოს უნივერსიტეტი და საქართველოს ექთანთა ასოციაცია

**საბუთების მიღების ბოლო ვადა:** 24 მარტი

**სწავლის დაწყება:** 25 მარტი 2010 წელი

**კურსის ღირებულება:** 475 ლარი

**მისამართი :** თბილისი, კოსტავას 77ა

**ადმინისტრატორ ექთნების კომპეტენციის ამაღლების საბაზო კურსი  
ჯანდაცვის მენეჯმენტში**

საქართველოს უნივერსიტეტისა და საქართველოს ექთანთა ასოციაციის  
ერთობლივი სასწავლო კურსი ადმინისტრატორი ექთნებისათვის

დამტკიცებულია საქართველოს უნივერსიტეტის  
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის აკადემიურ  
საბჭოზე 16 იანვარი 2010 წელი

**კურსის მიზანი:** მენეჯერი ექთნების კომპეტენციის ამაღლება რეფორმირებულ  
ჯანდაცვის სისტემაში

**ამოცანები**

1. საქართველოს ჯანდაცვის სისტემისა და მიმდინარე რეფორმის გაცნობა;
2. ექთანის ადგილი, როლი, ფუნქცია და მოქმედების მექანიზმების სისტემაში  
სწავლება
3. ადმინისტრატორი /მენეჯერი ექთნების მუშაობის პრინციპებისა და მოთხოვნების,  
მათი შესრულების სწავლება ახალ ჯანდაცვის სისტემაში;

**სწავლების მეთოდოლოგია:**

ლექცია, პრაქტიკური და სიტუაციური ამოცანები, ინტერაქტივი, გუნდური  
მუშაობა დავალებების შესრულებაზე, გამოკითხვების წარმოება, პროექტის  
მომზადება და პრეზენტაცია, გამოცდა

**კურსის დასრულებისას მსმენელი შეძლებს :**

1. ადმინისტრატორი ექთნის მოქმედების სწორი ორიენტაციას და გარკვევას ჯანდაცვის სისტემაში;
2. ფლობდეს მენეჯერი ექთნის ფუნქციონირების თანამედროვე მოთხოვნების შესახებ ცოდნას;
3. პრობლემის იდენტიფიცირებას, გადაწყვეტის გზების დასახვას და გადაწყვეტის მიღწევას;
4. განახორციელოს მენეჯერი ექთნის ეფექტური საქმიანობა;
5. ხელი შეუწყოს სამედიცინო დაწესებულების ინფრასტრუქტურის საქმიანობის გაუჯობესებას და გახადოს საექთნო სერვისები ეფექტური;

**კურსის აღწერილობა** კურსი ჩამოყალიბდა საავადმყოფოებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების უფროსი და მთავარი ექთნებისათვის ადმინისტრატორ-ხელმძღვანელის ფუნქციის უკეთ შესრულებისათვის. კურსი შექმნილია `ატლანტა-თბილისის სამედიცინო პარტნიორობის` და `სკრენტონის უნივერსიტეტი – ჯმნც პარტნიორობის` მიერ მოწოდებული სასწავლო პროგრამების საფუძველზე, რომლის ადაპტირება განხორციელდა საქართველოს უნივერსიტეტისა და საქართველოს ექთანთა ასოციაციის მიერ. კურსი ექთნებს სთავაზობს მართვისა და ხელმძღვანელობის საფუძველის შექმნას პროფესიული მოვალეობის უკეთ შესრულებისათვის, აძლევს საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყანაში (აშშ, კანადა, გერმანია, ინგლისი) ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ექთნის როლის, ფუნქციისა და პასუხისმგებლობის გაცნობის საშუალებას აგრეთვე იგი მიმართულია თანამედროვე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ექთანის ეფექტური საქმიანობის პრაქტიკული და თეორიულ დონეზე უზრუნველყოფის ხელშეწყობისათვის.

**შეფასების სისტემა** – მაქსიმალური 100 % ქულა.

დასწრება და ჯგუფში აქტიობები –25 %

დავალებების შესრულება –20%

პროექტის მომზადება და პრეზენტაცია–25%

გამოცდა 30 %

**სასწავლო მასალა** მსმენელს გადაეცემა კურსისთვის ქართულ ენაზე მომზადებული მასალები

**სამუშაო გრაფიკი** 16.00–21.00, მცირე შესვენებებით, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი;  
**სწავლის წარმატებით** დასრულების შემთხვევაში (70% (ქულა) და მეტი) გაიცემა დამადასტურებელი საქართველოს უნივერსიტეტისა და საქართველოს ექთანთა ასოციაციის ერთობლივი სერთიფიკატი.

**კურსის გავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. ფოტოსურათი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
2. პროფილური განათლების დიპლომი, ატესტატი.
3. მოტივაციის წერილი და სააპლიკაციო ფორმა(ადგილზე შევსებით)
4. სარეგისტრაციო გადასახადის (150 ლარი ) ქვითარი

**საკომუნიკაციო პირები:**

**საქართველოს უნივერსიტეტი:**

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის ასისტენტი ნათია სხვიტარიძე

ელ.ფოსტა : [n.ckvitaridze@ug.edu.ge](mailto:n.ckvitaridze@ug.edu.ge)

ტელ: 24 11 44 /167

მობ: 899 .57 62 87

**საქართველოს ექთანთა ასოციაცია** ქეთევან გარსევანიშვილი

**მისამართი:** კოსტავას 77/ა, საქართველოს უნივერსიტეტი კორპუსი 1. ოთახი 107,

**მობ:** 877 119 199

**კურსის ღირებულებაა 475 ლარი**, სარეგისტრაციო გადასახადის (150 ლარი) და შემდგომი (350 ლარი) სრული დაფარვა ხდება გადარიცხვის წესით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები ბანკი -სს “ბაზისბანკი”**

**ბანკის კოდი – 220101956**

**საიდენტიფიკაციო კოდი 205 037 137**

**ანგარიშის ნომერი - ა/ა 8736095**

კურსის თემატიკა და გრაფიკი

25 მარტი 2010 წელი

მოდულის ხელმძღვანელი: რ.ურუშაძე

მაია გოგაშვილი

ქეთევან გარსევანიშვილი

	თემის დასახელება	სთ	ლექტორი	თარიღი დრო
1	ჯანრმთელობა, ჯანდაცვის სისტემები, საქართველოს ჯანდაცვა და სამედიცინო დაწესებულების ტიპები –	2,5	საქართველოს უნივერსიტეტი რ.ურუშაძე	25.03.2010 16.00 სთ
2	საექთნო საქმის ისტორია, საექთნო სტრუქტურის სახეები, საექთნო განათლება. ექთანი და მისი როლი სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში	2,5	საქართველოს ექთანთა ასოციაცია მაია გოგაშვილი	
3	ჯანდაცვის სისტემის შრომითი რესურსები და მართვის ძირითადი ასპექტები –	2,5	საქართველოს უნივერსიტეტი პროფესორი ო.ვასაძე	26.03.2010 16.00 სთ
4	ეთიკა და საკანონმდებლო ბაზა ჯანდაცვაში -	2,5	საქართველოს უნივერსიტეტი პროფესორი ნ.ყაზახაშვილი	
5	ექთნის მორალურ-ეთიკური ნორმები და საექთნო საქმის საკანონმდებლო ბაზა	2,5	საქართველოს ექთანთა ასოციაცია ქეთევან გარსევანიშვილი	27.03.2010 16.00 სთ
6	ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევის პრინციპები –	2,5	საქართველოს უნივერსიტეტი	

			პროფესორი თ.ვერუღავა	
7	ლიდერობა, მისი ძირითადი პრინციპები	2,5	საქართველოს ექთანთა ასოციაცია ლია მამალაძე	1.04.2010  16.00 სთ
8	ეფექტური გუნდი. პრეზენტაციის ძირითადი პრინციპები -	2,5	საქართველოს ექთანთა ასოციაცია	
9	უფროსი და მთავარი ექთანი საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში. სტანდარტები და უფლება-მოვალეობები. საექთნო დოკუმენტაცია	3	საქართველოს ექთანთა ასოციაცია ქეთევან გარსევანიშვილი	2.04.2010  16.00 სთ
10	საინფორმაციო მმართველობითი სისტემები და სამედიცინო სტატისტიკის საფუძვლები	2	საქართველოს ექთანთა ასოციაცია არჩილ კაპანაძე	
11	საექთნო სერვისები, მისი ორგანიზება და მიწოდება	2	საქართველოს ექთანთა ასოციაცია თ. შარაშენიძე მ. სახვაძე	3.04.2010  16.00 სთ
12	სამედიცინო სერვისების ხარისხი, მახასიათებლები, ხარისხის მართვასთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაციის მოძიება	3	საქართველოს ექთანთა ასოციაცია მ.გოგაშვილი	
13	სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ექთან-მენეჯერთა უფლება-მოვალეობები	3	საქართველოს ექთანთა ასოციაცია მ.გოგაშვილი	8.04.2010  16.00 სთ
14	ინდივიდუალური პროექტის მომზადება	2	საქართველოს ექთანთა ასოციაცია მ.გოგაშვილი	
15	გამოცდა და პროექტების პრეზენტაცია		საქართველოს უნივერსიტეტი და საქართველოს ექთანთა ასოციაცია	10.04.2010

16	სასწავლო საათი	სულ 35		
----	----------------	--------	--	--